



პროლეტარებო ყმაღლა ჭვირნისა, უმირთვეთ!

ვათამაშების კალენდარი

კალათბურთი

- 17 აგვისტო. ქაბუკები: ლიტვა-საქართველო, გოგონები—საქართველო-უკრაინა.
- 18 აგვისტო. გოგონები: ლატვია-საქართველო.
- 20 აგვისტო. გოგონები: ლიტვა-საქართველო, ქაბუკები: საქართველო-უკრაინა.
- 21 აგვისტო. გოგონები: საქართველო-ყირგიზეთი, ქაბუკები: საქართველო-ყირგიზეთი.
- 22 აგვისტო. ქაბუკები: საქართველო-აზერბაიჯანი.

ურბნბურთი

დღეს „განთიადის“ ბაზებზე გაიმართება ფრენბურთელთა ფინალური შეხვედრები. დილას IX-XVI ადგილებისათვის იბრძობდნენ გოგონები — გზათა მიმოსვლის სა-მინისტრო-რსფსრ, ყაზახეთი-აზერბაიჯანი, ყირგიზეთი-თურქმენეთი, სომხეთი-ბელორუსია, ქაბუკები — ყაზახეთი-ბელორუსია, ყირგიზეთი-ტაჯიკეთი, ესტონეთი-თურქმენეთი, სომხეთი-რსფსრ (ლენინგრადი). XVII-XIX ადგილებისათვის — გზათა სამინისტროსა და მოლდავეთის ქაბუკთა და მოლდავეთისა და ტაჯიკეთის გოგონათა გუნდები.

I-VIII ადგილებისათვის ქაბუკთა შორის დილას გაიმართება ორი შეხვედრა ლატვია-ლიტვა, აზერბაიჯანი-რსფსრ (ოლქების ნაკრები). საღამოს ამავე ადგილებისათვის გოგონათა შორის ერთმანეთს შეხვედებიან ესტონეთი-რსფსრ (ლენინგრადი), რსფსრ (მოსკოვი)-„შრომი-თი რეზერვები“, უკრაინა-ლატვია, ლიტვა-საქართველო და ქაბუკთა გუნდები — საქართველო-უკრაინა, რსფსრ (მოსკოვი)-„შრომი-თი რეზერვები“.

წყალბურთი

ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთელები ფინალში შეხვედებიან 17 აგვისტოს — მოსკოვის ნაკრებს, 18 აგვისტოს — ლენინგრადის გუნდს, 19 აგვისტოს ისვენებენ, 20 აგვისტოს ითამაშებენ აზერბაიჯანთან, 21 აგვისტოს — სომხეთთან, ხოლო 22 აგვისტოს შეხვედებიან „შრომი-თი რეზერვების“ წყალბურთელებს.

საპარტვილოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საპარტვილოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Л Е Л О

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 98 (1268) ○ კვირა, 17 აგვისტო, 1958 წ. ○ ბამოცემის 80-15 წელი. ○ ფასი 30 კპ.

დღეს „დინამოს“ სტადიონზე აღიმართება მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის ა ლ ა მ ი

ყველანი სვადიონზე!

სპარტაკიადის გახსნის საზეიმო ნაწილი დაიწყება 18 საათზე.

წინასწარი შეხვედრების შედეგები

კალათბურთი		ურბნბურთი	
გოგონები	ქაბუკები	გოგონები	ქაბუკები
პირველი ჯგუფი	პირველი ჯგუფი	პირველი ჯგუფი	პირველი ჯგუფი
1. საქართველო	1. უკრაინა	1. მოსკოვი	1. საქართველო
2. ესტონეთი	2. ლატვია	2. ესტონეთი	2. ლატვია
3. ბელორუსია	3. მოსკოვი	3. ყაზახეთი	3. ყირგიზეთი
4. უზბეკეთი	4. ბელორუსია	4. გზ. მიმ. სამ.	4. ყაზახეთი
5. თურქმენეთი	5. თურქმენეთი	5. უზბეკეთი	5. მოლდავეთი
მეორე ჯგუფი	მეორე ჯგუფი	მეორე ჯგუფი	მეორე ჯგუფი
1. ლიტვა	1. ლიტვა	1. უკრაინა	1. მოსკოვი
2. ყირგიზეთი	2. აზერბაიჯანი	2. ლენინგრადი	2. ლიტვა
3. მოსკოვი	3. უზბეკეთი	3. რსფსრ (ოლქ.)	3. ბელორუსია
4. გზ. მიმ. სამ.	4. სომხეთი	4. ყირგიზეთი	4. ესტონეთი
5. ყაზახეთი	5. მოლდავეთი	5. მოლდავეთი	5. გზ. მიმ. სამ.
მესამე ჯგუფი	მესამე ჯგუფი	მესამე ჯგუფი	მესამე ჯგუფი
1. ლატვია	1. ესტონეთი	1. ლიტვა	1. უკრაინა
2. „შრ. რეზერვები“	2. ყირგიზეთი	2. „შრ. რეზერვები“	2. აზერბაიჯანი
3. ლენინგრადი	3. გზ. მიმ. სამ.	3. აზერბაიჯანი	3. სომხეთი
4. მოლდავეთი	4. რსფსრ (ოლქ.)	4. სომხეთი	4. ტაჯიკეთი
5. ტაჯიკეთი	5. ყაზახეთი	5. ტაჯიკეთი	5. უზბეკეთი
მეოთხე ჯგუფი	მეოთხე ჯგუფი	მეოთხე ჯგუფი	მეოთხე ჯგუფი
1. რსფსრ (ოლქ.)	1. საქართველო	1. საქართველო	1. „შრ. რეზერვები“
2. უკრაინა	2. „შრ. რეზერვები“	2. ლატვია	2. რსფსრ (ოლქ.)
3. სომხეთი	3. ლენინგრადი	3. ბელორუსია	3. ლენინგრადი
4. აზერბაიჯანი	4. ტაჯიკეთი	4. თურქმენეთი	4. თურქმენეთი

ნ ყ უ ლ ბ უ რ თ ი

პირველი ჯგუფი	მეორე ჯგუფი	მესამე ჯგუფი	მეოთხე ჯგუფი
1. საქართველო	1. უკრაინა	1. „შრ. რეზერვები“	1. მოსკოვი
2. რსფსრ (ოლქ.)	2. აზერბაიჯანი	2. სომხეთი	2. ლენინგრადი
3. ლატვია	3. თურქმენეთი	3. გზ. მიმ. სამ.	3. უზბეკეთი
4. ესტონეთი	4. მოლდავეთი	4. ტაჯიკეთი	4. ბელორუსია
5. ლიტვა	5. ყაზახეთი	5. ყირგიზეთი	

შენიშვნა: ფინალში, საღაც ვათამაშდება ადგილები პირველიდან მეორემდე, ყოველი ჯგუფიდან გადის ორი გამარჯვებული გუნდი.

ჩ მ ბ ბ უ რ თ ი

გოგონები
პირველ-მეორე ადგილებისათვის იბრძვიან მოსკოვისა და ესტონეთის გუნდები. საქართველოს კოლექტივი ლენინგრადთან ერთად იბრძვის მესამე-მეოთხე ადგილებისათვის.

ქაბუკები
პირველ-მეორე ადგილებისათვის იბრძვიან ესტონეთისა და საქართველოს გუნდები.

ლილი სტარტის წინ

სექტემბერში პარიზში გაიმართება მსოფლიოს მორიგი პირველობა ველოსპორტში (ტრეკი), ამიტომ ამ დღეებში ტულაში ჩატარებული საკავშირო პირველობა მზად ისახება უძლიერესთა შერჩევას, რომლებიც მსოფლიო პირველობაზე დაიცივენ ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას.

4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში ოქროს მედლისათვის იბრძოდა 40 სპორტსმენი. ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ ლენინგრადელი ს. მოსკოვი და ი. ელდუკსი (რიგა, სკო). ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოვმა, რომელმაც აჩვენა საკმაოდ მაღალი შედეგი — 5.02,5.

1 კილომეტრზე სისწრაფეში შეჯიბრება ჩატარდა არახელსაყრელ პირობებში. აქ კარგი შედეგი — 1.12,8 აჩვენა თბილისელმა გ. ზანდუკელმა. მისი შედეგის გაუმჯობესება კარგა ხანს ვერავინ შეძლო, მაგრამ, როცა სტარტი აიღო ტულელმა ბ. სავოსტინმა, აშკარა გახდა, რომ იგი უკეთეს შედეგს აჩვენებდა, მართლაც მან ზანდუკელის შედეგს 1,4 წამი „ჩამოკრა“ და დაიკავა პირველი ადგილი. მეორე და მესამე ადგილები მოიპოვეს რ. ვარჯაშინმა და ბ. რომანოვმა ერთნაირი შედეგით — 1.11,9 წამი.

ქალთა შორის 2 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში ჩემპიონი გახდა ცსკ მოსკოვის გუნდის წევრი ზ. დენკინა — 4.17,8, ხოლო სისწრაფეზე შეჯიბრებაში — მისი თანაგუნდელი გ. ერმოლოვა, რომელმაც მესამედ შეინარჩუნა ზემო პოზიციის საპატიო ტიტული.

50 კილომეტრზე რბოლა წყვილთა შორის დამთავრდა ძმების ნ. და ლ. კოლუმბეტების („სპარტაკი“, კიევი) გამარჯვებით.


გაზეთის დაბეჭდვამდე

ბოლო მატჩი საქართველოს ფრენბურთელთა გუნდს თავის ქვეჯგუფში ჰქონდა გუშინ „დინამოს“ სტადიონზე. მათ წინააღმდეგ თავმამობდა ბელორუსიის ნაკრები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. ამრიგად საქართველოს გუნდი ითამაშებს ფინალში.

გუშინ საღამოს ვათამაშდა ფინალის პირველი შეხვედრები: ფრენბურთში, კალათბურთში, წყალბურთსა და ჩოგბურთში. კალათბურთში ჩვენმა ქაბუკებმა ანგარიშით 69:45 დაამარცხეს ლატვიელები, ხოლო გოგონებმა 40:27 რუსეთის ფედერაციის ოლქების ნაკრები. საქართველოს ფრენბურთელმა გოგონებმა მოუგეს უკრაინელებს — 3:2. ჩვენმა წყალბურთელებმა ფრედ 5:5 ითამაშეს უკრაინელებთან.



გიორგი ანდროსი



პირველი შთაბეჭდილება კარგია

იყო დრო, როდესაც ჩვენ, სამხედრო კალათბურთი რამდენიმე ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ სტილს აერთიანებდა. თავისებური მანერით ხასიათდებოდნენ ბალტიისპირეთის გუნდები — ნელი კომბინაციური და ნაკლებად აგრესიული, მაგრამ უაღრესად ზუსტი თამაშით. თავდავიწყებამდე ტემპიანი, შემტევი სტილი ჰქონდათ სამხრეთის გუნდებს. კარგად იყო შერწყული მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებში სწრაფი შეტევა ზუსტ სროლებთან საშუალო და გრძელი დისტანციებიდან. დროთა განმავლობაში თანდათან შემცირდა სტილის განმსაზღვრელი თავისებურებანი. გუნდებმა ერთმანეთისაგან გადმოიღეს თანამედროვე კალათბურთისათვის დამახასიათებელი პროგრესული ელემენტები და ახე წარმოიშვა ახალი საბჭოთა სტილი, რომელმაც ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა საერთაშორისო ასპარეზზე. დღეს ჩვენ კალათბურთისათვის დამახასიათებელია სწრაფი, ელვისებური შემტევი სტილი, რასაც კარგად არიან დაუფლებულნი სხვებთან ერთად ჩვენი საუკეთესო მოწარმეები გუნდებიც.

კალათბურთის თამაშის საბოლოო მიზანს მოწინააღმდეგის კალათის აღება წარმოადგენს. ამიტომ ყველაზე სწორია ტაქტიკა, რომელიც ამას უზოკლესი, მარტივი, მაგრამ ეფექტური გზით ახერხებს. ერთობლივად სწრაფი გადაცემა, პარტიზანობის გაყვანა თავისუფალ ადგილზე და სროლა კალათში — აი კალათბურთში წარმატების ელემენტარული „ფილოსოფია“, რომელიც მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო სწრაფად და მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელად სრულდება იგი.

საქართველოს ქაბუკთა გუნდი სწორედ ამ გზით მიდის და მისი წყალობით აღწევს წარმატებას. ერთ-ერთმა ლატვიელმა ურალისტმა ჩვენს გუნდის თამაშის შემდეგ თქვა:

— უფრებაც კი აღარაა უკვე საინტერესო, იმდენად ძლიერები არიან ქართველები! შეიძლება გავვიადებულები თქმა იყოს, მაგრამ სიმართლის ელემენტები მასში, რა თქმა უნდა, არის. როცა საქართველოს ქაბუკთა გუნდი იწყებს თამაშს, გწამს, რომ მან უნდა დაამარცხოვს მეტოქე (თუმცა მთავარ მოწინააღმდეგეებთან მას ჯერ არ ჩაუტარებია შეხვედრები). რით არის ეს რწმენა გამოწვეული? ჯერ ერთი გუნდის წევრების ფიზიკური მონაცემებით. მაღალი, ატლტურნი აგებულების ქაბუკები უკვე თამაშის დაწყებამდე ქმნიან შესაფერის შთაბეჭდილებას. ტექნიკური მომზადება, რთული ცალკეული ელემენტების უნაყოფიერება და დიდ უწყობს ხელს გუნდის საერთო წარმატებას და ტემპი, შეუხვედრებელი, გრძელდისტანციური ტემპი, რომელსაც არედარევა შეაქვს მოწინააღმდეგეთა რიგებში.

ჩვენმა გუნდმა უკანასკნელ დღე-

ებში ჩაატარა ორი შეხვედრა ლენინგრადისა და „სროლითი რეზერვების“ გუნდებთან და ორივე მოიგო (პირველი ანგარიშით — 79:46, მეორე — 72:43). კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ლ. მოსევილის (№ 4); ვ. ალტაბაივის (№ 9), ა. კაზანჯიანის (№ 7) და სხვების თამაშმა, მაგრამ გუნდს ზოგი რამ მაინც უნდა ვუსაყვიდროთ. პირველ რიგში, სუსტი მუშაობა საკუთარ და მოწინააღმდეგის ფარზე. იყო შემთხვევები, როცა გაცილებით დაბალი ტანის მოწინააღმდეგეები მათ ჩაგრავენენ მაღალი ბურთისათვის ბრძოლაში.

საერთოდ, ჩვენმა კალათბურთელებმა უფრო მეტი მონდომებით და ენერგიულად უნდა იბრძოლონ მაღალი ბურთისათვის. თამაშის პროცესში საქართველოს გუნდს ზოგჯერ აქვს უუპრადღებობის პერიოდი, როცა უმისამართოდ იგზავნება ბურთი და იკარგება გადაცემები. როდესაც ანგარიში მივაყვას, ასეთი უუპრადღებობა არ არის შესაძლებელი, მაგრამ თანაბარ თამაშში იგი სულ ადვილად შეიძლება დამლუპველი გამოადგეს.

რსფსრ-სა და უკრაინის გოგონათა გუნდების შეხვედრის პირველი პერიოდი არაფერს საინტერესოს არ გვიქადა. რუსეთის ფედერაციის კალათბურთელები აშკარად ჯობდნენ უკრაინელებს და ინიციატივაც ხელთ ეყვართ, მაგრამ საქმარისი იყო მათ ოდნავ შეესუსტებინათ სიფიზიკური და ინიციატივა უკრაინელთა მხარეზე გადავად. როცა რუსეთის ფედერაციის კალათბურთელები ამაში დარწმუნდნენ, უკვე გვიანი იყო — ანგარიში უკრაინელებს მიჰყავდათ. საქართველო გახდა მოგებული თამაშის ხელახლა მოგება, რაც გაცილებით მეტ ენერჯისა და ძალის მოითხოვდა. შეხვედრის უკანასკნელ წამებზე ანგარიში ვათანაბრდა — 43:43. მხოლოდ დამატებით ხუთ წუთში შეძლეს რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა „ხატატუს ქვოს“ აღდგენა და მოიგეს მატჩი — 52:49.

ამრიგად, დამთავრდა ბრძოლა 8 უძლიერეს შორის მოსახვედრად წყალბურთში. ფინალისტთა შორის 4 გუნდს უკვე აქვს გარკვეული უპირატესობა წინასწარი ჯგუფებიდან გადმოსული გამარჯვების გამო. მათ შორის არიან მოსკოვის, „სროლითი რეზერვების“, უკრაინისა და საქართველოს გუნდები.

წინასწარ შეხვედრებში კვლავ ფიქსირებულ იქნა რამდენიმე დიდი ანგარიში — 20:0, 19:0, 20:1, 17:0

შედეგს გადაწყვეტს ფინალი

როცა თბილისელი ჩოგბურთელი გოგონა ნოვოსელცოვა ესტონელ პეტერსონთან დამარცხდა და ბადალოვას, ივანოვასა და ელჩა-

შეა, კარგად ფლობს ბურთს და ალბათ ამიტომ აძლევს საკუთარ თავს უფლებას თავდავიწყებამდე იტრიალოს წინ და უკან ბურთით და არაფრად ჩააგდოს თავისი პარტიზანობის განლაგება და მოძრაობა ამ დროს.

მართალია, საქართველოს ქაბუკებმა თავიანთი მორიგი მატჩი მოუგეს ყირგიზეთის ნაკრებს ანგარიშით 3:1, მაგრამ ყირგიზეტებთან მოგება არც ისე ძნელი საქმეა, ძლიერ გუნდებთან თამაშში ასეთი მანერით კი ერთობ გაჭირდება. სავსებით სამართლიანად

თქვა საქართველოს გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა: ბურთის ტარებაში ხომ არაა შეჯიბრება.

ორი საინტერესო მატჩი ჩაატარა ლატვიის გუნდმა. „სროლითი რეზერვების“ ძლიერი კოლექტივის წინააღმდეგ ლატვიელებმა აირჩიეს „სრუ დაცვის“ ტაქტიკა და მათმა მოწინააღმდეგემ მიუხედავად აშკარა უპირატესობისა, ვერაფრით ვერ მონახა გზა კარისაკენ. „სროლითი რეზერვების“ ამ განუწყვეტელ იერიშებში ლატვიელთა მარცხენა გარემარბმა ხელსაყრელი პოზიცია მოიძენა და გოლიც გაიტანა — 1:0.

მხოლოდ მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას სამიოდ წუთს აკლდა, შეძლეს „სროლითი რეზერვების“ ფეხბურთელებმა საპასუხო ბურთის გატანა და თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

შესტად ასევე ითამაშეს ლატვიელებმა მოსკოვის ნაკრების წინააღმდეგ და მიჰყავდათ კიდევ ანგარიში. მოსკოველთა მრავალრიცხოვანი იერიშები იმსხვრეოდა ლატვიის გუნდის საჯარიმო მოედანზე მეორე ტაიმის მე-15 წუთამდე. აქ მათი ერთ-ერთი შეტევა დამთავრდა გოლით — 1:1. ეს საქმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ლატვიელთა დაცვას ბზარი დამჩნეოდა. დარჩენილ 20 წუთში მათს კარში გატანილ იქნა ზედისედეგ 5 ბურთი და მატჩი დამთავრდა მოსკოვის ნაკრების სასარგებლოდ ანგარიშით 6:1.

„შეჯიბრება ბურთის ტარებაში“

არავის ექვი არ ეპარება იმაში, რომ საქართველოს ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი ძლიერი კოლექტივია და პირველობის ერთ-ერთ ძირითად პრეტენდენტს წარმოადგენს მიმდინარე ვათამაშებში. გუნდი დაკომპლექტებულია კარგი ფიზიკური მომზადების, მაღალტექნიკური მოთამაშეებით, რომლებიც თამაშობენ სწრაფ ტემპში, ენერგიულად და მონდომებით. კოლექტივის სავსებით შეუძლია გამართლოს მასზე დამყარებული იმედები და დაიკავოს პირველი ადგილი, მაგრამ...

მაგრამ ჩვენს ფეხბურთელებს ერთი სერიოზული და მეტად მავნე „ავადმყოფობა“ ჰქვია, რომელიც ზოგიერთს ქრონიკულ სენად გადაქცევა. ესაა ბურთის ზედმეტი ტარება.

თითქოს, რა უნდა იყოს ამაზე იოლი: მწვრთნელმა გაგარჩია თამაშში, მოგცა ინდივიდუალური დავალება, დავისახა კონკრეტული გეგმა. მაგრამ ზოგიერთს ყველაფერი ეს ავიწყდება და მოწინააღმდეგესთან პირველი შეტაკებისთანავე იწყებს ბურთის გაუთავებელ, ყოველდღე უსარგებლო და უაზრო ტარებას. ატარებს მანამ, სანამ არაქათამოცილობს ან თვითონ არ ატანს ფეხები, ან არ წაართმევენ ბურთს.

მაგალითისათვის ავიღოთ გუნდის მარჯვენა ნახევარმცველი გელოვანიშვილი. იგი ტექნიკური მოთამა-

ნიოვას მიერ წაგებულ სამ მატჩის კიდევ ერთი წაგება დემატა, შეჯიბრების ბედი უკვე ესტონელთა სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი. ნოვოსელცოვას დამარცხება საქართველოს გუნდის მეხუთე წევრმა ახუანდამ იმ დროს გაიგო, როცა ცხარე ბრძოლაში იყო ჩაბმული პუუდისტთან, მაგრამ ამის მიუხედავად მან გადაწყვიტა რაღაც არ უნდა დაჯდომოდა მოგო შეხვედრა.

ესტონელმა ვერ გაუძლო ახუანდამის სწრაფ და გააზრებულ თამაშს და დამარცხდა. ეს იყო ერთადერთი მატჩი, რომელიც წააგეს ესტონელებმა 49 შეხვედრაში. მართალია, ესტონეთის გუნდს კიდევ ერთი წაგება მიესაჯა (წყვილთა შეხვედრა), მაგრამ არა ბრძოლაში, არამედ შეხვედრაზე გამოუცხადებლობის გამო.

თავის ქვეჯგუფში მაღალი არ მყავდა ესტონეთის ქაბუკთა გუნდს, რომელმაც ყველა მოწინააღმდეგეს მოუგო ერთნაირი ანგარიშით — 7:0 და სარეკორდო შედეგით — 49 მოგება 49 შეხვედრიდან წარსდგება მეორე ფინალისტის — საქართველოს ქაბუკთა გუნდის წინაშე.

ფინალურ ჯგუფში ჩატარებული შეხვედრებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსკოვისა და საქართველოს ქაბუკთა მატჩი. ამ შეხვედრაში წაგებული მოწინააღმდეგის გზას ულოცავდა პირველი ადგილისათვის საბრძოლველად.

სწორედ ასეთ საპასუხისმგებლო შეხვედრაში არ გაუმართლა რესპუბლიკის უძლიერეს ჩოგბურთელს მუსაილანს, რომელიც დამარცხდა ტექნიკურად და ტაქტიკურად შედარებით „ღარიბ“ ეგროვთან. მას დართო ივანოვის დამარცხება მოსკოველ ტაჩოვთან და გამარჯვება უკვე საფრთხეში აღმოჩნდა. აქ გამოავლინეს მორალური სიტუკიკე და გამარჯვებისადმი რწმენა გოგლიძემ, მიმინარევილმა და კოჩუბიემ, რომლებმაც ზედისედეგ დაამარცხეს ივანოვი, ლაბუტინი და სტიფანოვი და გუნდს მჭულა შეძინეს.

წყვილთა თამაშში თბილისელთა უპირატესობა აშკარა გახდა და საბოლოო შედეგი — 5:2 მოსკოვის ძლიერი კოლექტივის წინააღმდეგ საქმაოდ დამაჯრებელი გამარჯვების ნიშანია და პირველობისათვის ბრძოლაში წარმატების იმედს იძლევა.

ერთადერთი ბურთი საკუთარ კარში

და ა. შ. ძალთა ასეთი განსხვავება გუნდებს შორის, უპირველესად ყოვლისა, შედეგია იმისა, რომ ზოგიერთი გუნდის მოთამაშეები არასათანადოდ არიან დაუფლებული სწრაფად ცურვას და უპირთ მოწინააღმდეგე თავდამხმრელთა დაქერა.

ესტონელებს მთელი რიგი მაღალი მარჯვენალები აქვთ სპორტულ ცურვაში, მაგრამ ამ რესპუბლიკის ნორჩ წყალბურთელებს რატომაც სწორედ ცურვა უქვიათ. ამიტომაც, რომ ესტონელთა კარში მრავლად გადის ბურთები, და მათი ცდა — გაყვანონ დრო,

გუნდს მაინცდამაინც ვერ შევიდის. ასე ცდილობდნენ ესტონელები კარის სხნას საქართველოს გუნდთან შეხვედრაში, მაგრამ დროის ამ გაყვანაში მათს კარში გატანილ იქნა 20 „მშრალი“ ბურთი. დიდი ანგარიშით დაამარცხეს ჩვენმა წყალბურთელებმა ლატვიის გუნდიც — 11:1. ამრიგად, საქართველოს წყალბურთელებმა ქვეჯგუფში მხოლოდ ერთხელ მისცეს მოწინააღმდეგეს კარის აღების საშუალება. საერთო ანგარიშია 5:1.

კაყოზილი დახანდა

„ციხიდან გაქრა ცნობილი ბან-
დიტი რომერი“ — ელვის სისწრა-
ფით მოედო ეს ცნობა არგენტინის
ერთ-ერთ ქალაქ მარ დელ
პლიატს. რამდენიმე საათის შემ-
დეგ საყოველთაო განგაშის ადგი-
ლი ახალმა საოცრებამ დაიკავა —
რომერი თავისით დაბრუნდა ცი-
ხეში. იგი მეტად კმაყოფილი იყო
და ციხის უფროსს შემდეგი განუ-
ცხადა: „საქმე იმაშია, რომ თამა-
შობდა ფეხბურთელთა ის კლუბი,
რომლის გულშემატიკივარიც მე
ვარ. ჩვენებმა დაამარცხეს ძლიერი
მოწინააღმდეგე ანგარიში 6:1“.

„კარკულასი კახით“

ინგლისში ყველაზე ძლიერ ქა-
ლად ითვლება სოფელ სტემფორდ-
პოლის მცხოვრები ფილის კერკი,
რომელსაც ორი ხელით თავი-
სუფლად შეუძლია აქიმოს 90-კი-
ლოგრამიანი შტანგა. ამ „კახიანმა
პერკულესმა“ ძალისნობაში ვარ-
ჯიში დაიწყო წლინახევრის წინათ
თავისი სხეულის მშვენიერებისათ-
ვის. მანამდე იგი 80 კილოგრამს
იწონდა, ახლა კი 20 კილოგრამით
ნაკლებია, სამაგიეროდ მისი სხეუ-
ლის მშვენიერება ბევრ ქალიშვილს
შეშურდება.



მისი დასვენების დღე ფოტოგრაფი ლ. სანელიძისა.

გათამაშების ცხრილი

Table with columns for match numbers, teams, and scores. Includes matches like 'სპარტაკი' vs 'ცხკე მო' and 'წინიტი' vs 'დინამო'.

მოსკოვი. 14 აგვისტო. აქ
შედგა მორიგი მატჩი სსრ კავში-
რის პირველობაზე ფეხბურთში, თა-
მაშობდნენ „ტორპედო“ (მოსკოვი)
— „მოდოლი“ (ციხინოვი).
მატჩში დამთავრდა ფრედ — 2:2.
დედაქალაქის „სპარტაკი“ შეხვდა
კიევის „დინამოს“.
სპარტაკელებმა მოიგეს შეხვედ-
რა ანგარიშით 3:2.
კუბიშევი. 15 აგვისტო.
თბილისის „დინამოს“ ფეხბურთე-
ლებს თავიანთი მორიგი მატჩი
ქვემოდათ კუბიშევიში, ადგილობ-
რივ „კრილია სოვეტოვთან“. შეხ-
ვედრა დამთავრდა გოლგელთა
გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

208 სანტიმეტრამდე ყველაფერი
რიგზე იყო, მაგრამ ახალ 3 სანტი-
მეტრს სტეპანოვის გარდა ვერავინ
გაუღო. დღემამა სამჯერ ცადა
გადახტომა და სამჯერვე ჩამოვარდა
თამაშა ფეხით. იური კი მათემ-
ტიკური სიზუსტით პირველსავე
ცდაზე დაძლია 206, 209, შემდეგ
კი 212 სანტიმეტრის ის რაც
მან გააკეთა, საქმარისი იყო იმისა-
თვის, რომ ამერიკის ვაჟთა გუნდის
ადმინისტრატორს მისტერ კოლ-
სონს წამოეყვირა:
„სტეპანოვი — ვერი გულ!“
ნ. გუშუპვილი
(დახასრული იქნება).
სურათზე: ამერიკელი და
საბჭოთა მძღოლსნები შეჯიბრების
წინ.

მოსავლა მოჭადრაკით საბავშირო შეჯიბრება

ლენინგრადში დასასრულს უახ-
ლოვდება საბჭოთა კავშირის გუნ-
დური შეჯიბრება ქალაქში მოს-
წავლეთა შორის. მეშვიდე ტურში
უკრაინის გუნდი უგებს ესტონე-
ლებს ანგარიშით 5,5:1,5 (სხუთი
პარტია გადადებულია). ამ დღეს
ყველაზე საინტერესო იყო რსფსრ
— მოსკოვისა და ლენინგრადი — სა-
ქართველოს გუნდების შეხვედრები.
რუსეთის ფედერაციის მოჭადრაკე-
ებმა შეაგროვეს 6 ქულა, ხოლო
მოსკოველებმა — 3, მწვავედ მიმ-
დინარებდა ბრძოლა ჩვენი რეს-
პუბლიკის წარგზავნილთა პარტი-
ებში. დღის ბოლოსათვის დამთავ-
რებულ შეიდ პარტიაში ანგარიში
იყო 4,5:2,5 ლენინგრადელთა სა-
სარგებლოდ.
მეორე ტურში დიდი აღზავლო-
ბით ითამაშეს მოსკოველებმა, რე-
მლებმაც დაამარცხეს ესტონე-
ლები ანგარიშით 9:2. შეუპოვარი
წინააღმდეგობა გაუწიეს უკრაინის
გუნდს ლატვიის მოჭადრაკეებმა.
შეხვედრა შეწყდა ანგარიშზე
6,5:3,5 უკრაინელთა სასარგებ-
ლოდ. ლენინგრადელები ამარცხე-
ბენ უზბეკებს — 6,5:2,5. სა-
ქართველოსა და რსფსრ-ს მო-
ჭადრაკეთა მძაფრი ბრძოლა შეწყ-
ვეტილია საყაიშო ანგარიშზე —
5:5.
გადადებული პარტიების დამთა-
ვრებისას ლენინგრადელებთან მა-
ტჩში საქართველოს მოჭადრაკეებმა
მხოლოდ 2,5 ქულა დააგროვეს.
ამით გუნდების შეხვედრის საერთო
ანგარიში გახდა 7:5 ლენინგრადე-
ლთა სასარგებლოდ, ხოლო რუსე-
თის ფედერაციის მოჭადრაკეებთან
შეხვედრის საბოლოო ანგარიშია
6:6.
ამრიგად, დასკვნითი ტურის წინ
ტურნირში ასეთი მდგომარეობაა:
უკრაინა — 65 ქულა, მოსკოვი —
63,5 ქულა, ლენინგრადი — 56 ქულა,
საქართველო — 53 ქულა,
რსფსრ — 52,5 ქულა.

სსსრ კავშირის



მკვრი

მელოსანთა მეფე

დიდი ხნის საინტერესო,
მაგრამ დაუსრულებელი ბრძოლა
ქონდათ მსოფლიოში ორ უძლიერეს
ათქიდელებს — ვახილი კუწეცოვსა და
რაფერ ჯონსონს. ტონი ამ
ბრძოლას ჯონსონმა მისცა, როცა
მსოფლიო რეკორდი დაამყარა უძ-
ნელეს სახეობაში, შემდეგ ვახილი
კუწეცოვმა მოხსნა რეკორდი და
გადმოიტანა იგი შორეულ კალიფორნი-
იდან ჩვენს ქვეყანაში. მატჩის
დღეებში კუწეცოვი და ჯონსონი
პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს
და უკვე დასწრებულად შეუ-
ტიეს რეკორდს.
რა არის ათქიდი? ათქიდი ეს
ისეთი უნივერსალური სახეობაა,
რომელსაც ყველა „მოკვდავი“
ვერ მოჰკიდებს ხელს. სამი კომბ-
ლექსის (რბენის, სტომის, ტუორც-
ნის) ისეთი გაერთიანებაა, რომ
ყველაგან თანაბრად ძლიერი უნ-
და იყო.
რაფერმა და ვახილიმ სტარტი
ყველაზე ადრე აიღეს — მატჩის
გახსნის დღეს და ბრძოლა დამ-
თავრეს მაშინ, როცა საბჭოთა კავ-
შირის გუნდს მატჩი ორი ქულით
უკვე მოკვებული ჰქონდა. ორი
დღის მანძილზე 10-ჯერ მიიღო
გაგრძელება. იხ. „ლელო“ № 97.

შურნალისტის შენიშვნები

სტარტი ამ ორმა შესანიშნავმა
მძღოლსანმა.
როცა ჯონსონი გაუძნრევლად
დაგას, მას ანტიური ქანდაკებისაგან
ვერ გაარჩევთ. მაღალი (190 სმ სი-
მაღლე, წონა 90 კგ), დაკუნთული,
არჩვეულებრივად სიმეტრიული
ზანგი ფეხმარდი აქილევისა, როცა
იგი დარბის (100 მ — 10,6), ვეფხ-
ვივით მოქნილია, როცა ხტება და
პერკულესივით უძლეველია, როცა
ტუორცნის (შუბი — 72 მ 59 სმ).
წარმოიდგინეთ, ეს გიგანტური აგე-
ბულები ადამიანი, როდესაც ქო-
კით 4-მეტრიან სიმაღლეზე გადა-
დის, რა ზამბარული სისხარტე
უნდა ჰქონდეს მის სხეულს, ჯონ-
სონი სპრინტერიცაა, რადგან შე-
დგით 10,6 სპრინტერები საერთა-
შორისო შეჯიბრებებს იგებენ
ხოლმე.
როცა ათქიდელმა ბოლოსწინა,
მეცხრე სახეობა დამთავრა (შუ-
ბის ტუორცნა) ჯონსონს უკვე
ჰქონდა მსოფლიო რეკორდზე მაღ-
ალი შედეგი. 1500 მეტრზე მან
სხვათა შორის ირბინა და რეკორ-
დი 8,202 ქულამდე აიყვანა (8,014
ქულიდან). კიდევ კარგი, ხუმრობ-
დნენ შემდეგ მძღოლსნებმა, რომ
უკანასკნელ სახეობაში ჯონსონმა
„თავი არ მოიკლა“, თორემ რა გა-
ეკარებოდა მის ახალ მსოფლიო
რეკორდს.

„სტეპანოვი, ვერი გულ!“

როცა დაიწყო შეჯიბრება სიმა-
ღლეზე სტომში, მთელმა სტადი-
ონმა ავტომატურად მიიბრუნა პი-
რი სამხრეთის ტრიბუნისაკენ. პირ-
ველობისათვის ბრძოლის გარდა აქ
კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ
უნდა მომხდარიყო. ამერიკელები
და სხვა უცხოელი სპეციალისტები
ბოლოსდაბოლოს უნდა დარწმუნე-
ბულიყვნენ, რას წარმოადგენს იუ-
რი სტეპანოვი.
საბჭოთა კავშირის რეკორდსმე-
ნის სარეკორდო მიღწევას დასა-
დებით სტეპანოვს შეხვდა, რო-
მელმაც ვერაფრით ვერ წარმოიდ-
გინა, რომ რუსეთში მოიძებნა
2 მ 16 სმ სიმაღლის დამძლევი
ატლეთი.
სხვებზე უფრო ამ ბრძოლაში
ზანგი ჩარლზ დიუმასი ღელავდა.
მან გამოცდილი თვალით ადრევე
შეატყო, რომ სტეპანოვი სწორედ
ისეთი იყო, როგორც წარმოადგე-
ნაც არ სურდა დასავლეთს. ჩარლ-
ზის სტომის მანერა ერთობ უცნაუ-
რი გამოდგა. სტომის უკანასკნელ
ფაზამდე იგი მხოლოდ 3,4 ნაბიჯს
თუ აკეთებდა მაშინ, როცა სტეპან-
ოვი და სხვები გამორბენისათვის
საკმაოდ დიდ მანძილს ირჩევდნენ.
მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს გა-
მორბენის სიგრძეს. მთავარია, სი-
მაღლე აიღო უშეცდომოდ, ამას
კი დიუმასი ჩინებულად ახერხებდა.